№2550 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №2357 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №2357 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 1 177 665 (ერთი მილიონ ას სამოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას სამოცდახუთი) ლარის ფარგლებში.“.

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი**